Tax and Legal Newsletter

bakertilly

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

ცვლილება საგადასახადო კოდექსში

საქართველოს საგადასახადო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებით ზუსტდება ფიზიკური პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 3000 ლარამდე შემოსავლის საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლებასთან დაკავშირებით დებულება. კერძოდ იცვლება ტერმინოლოგია და ნაცვლად „მარტოხელა დედისა“, საგადასახადო შეღავათით სარგებლობის უფლებამოსილება მიენიჭება „მარტოხელა მშობელს.“

შემოსავლების სამსახურის სიტუაციური სახელმძღვანელოები

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ დამტკიცდა #2431 სიტუაციური სახელმძღვანელო მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ საშემოსავლო გადასახადთან მიმართებით შესასრულებელი ვალდებულებების შესახებ.

აღნიშნული სიტუაციური სახელმძღვანელოთი ხდება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ ოჯახის წევრის ეკონომიკურ საქმიანობაში დახმარებასთან დაკავშირებით საგადასახადო ვალდებულების დადგენა და განისაზღვრება, რომ ასეთი საქმიანობა არ წარმოადგენს დაქირავებით შრომას და მცირე მეწარმეს არ წარმოეშობა დამატებითი საგადასახადო ვალდებულება. თუმცა თუ მცირე მეწარმეს ოჯახის წევრთან ურთიერთობა შრომითი ხელშეკრულებით არის მოწესრიგებული, ოჯახის წევრის შრომა განხილული იქნება დაქირავებით შრომად.

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

ცვლილება სამოქალაქო კოდექსში

საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის #1/6/1320 გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ინიცირებულია ცვლილება, რომელიც მიზნად ისახავს მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო კრიტერიუმების გაფართოებას.

სამოქალაქო კოდექსით მარტოხელა მშობლის სტატუსის მინიჭებისთვის ამჟამად არსებულ კრიტერიუმთან ერთად (ბავშვის ქორწინების გარეშე დაბადება და დაბადების სააქტო ჩანაწერში მეორე მშობლის შესახებ ინფორმაციის შეუტანლობა), დამატებითი კრიტერიუმები იქნება:

- არასრულწლოვანი შვილის მეორე მშობლის გარდაცვალება, გარდაცვლილად გამოცხადება ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;
- არასრულწლოვანი შვილის მეორე მშობლისთვის მშობლის ყველა უფლების და მოვალეობის ჩამორთმევა.

მარტოხელა მშობლის სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმების დამატებით გაფართოვდება იმ პირთა წრე, რომლებსაც შეეძლებათ საგადასახადო შეღავათებით და სხვა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებით სარგებლობა.

ცვლილება საქართველოს საპატენტო კანონში

საქართველოს მთავრობის ინიციატივით საქართველოს პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი „საქართველოს საპატენტო კანონში“ ცვილების შეტანის შესახებ, რომლის ავტორიც სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტია“.

სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებთან ერთად, კანონპროექტი მიზნად ისახავს საქართველოს მთავრობასა და ევროპის საპატენტო ორგანიზაციას შორის ევროპული პატენტების ვალიდაციის შესახებ 2019 წლის 31 ოქტომბერს ხელმოწერილი შეთანხმების (ვალიდაციის შეთანხმება) ძალაში შესვლისათვის აუცილებელი ვალდებულების შესრულებას.

კანონპროექტით გათვალისწინებულია საპატენტო კანონში ახალი - მე-12[1] თავის დამატება, რომელიც ევროპული პატენტის საქართველოში ვალიდაციის პირობებს და პროცედურებს ითვალისწინებს. კერძოდ განისაზღვრება, რომ ევროპულ საპატენტო განაცხადს და საქართველოში ვალიდირებულ ევროპულ პატენტს მიენიჭება იგივე იურიდიული ძალა და დაექვემდებარება იმავე პირობებს, რაც ვრცელდება ეროვნულ საპატენტო განაცხადზე და ეროვნულ პატენტზე საქართველოს საპატენტო კანონის მიხედვით.

ამრიგად საქართველოში გამოგონებაზე პატენტის მიღების დღეს არსებულ შესაძლებლობებთან ერთად ჩნდება ახალი საფუძველი - ევროპული საპატენტო განაცხადის წარდგენა და მისი საქართველოში ვალიდაციის მოთხოვნა.

ცვლილებების მიხედვით დაგეგმილია საპატენტო კანონში შემდეგი საკითხების რეგულირება:

- განაცხადის უცხო ქვეყანაში წარდგენის თაობაზე საქპატენტისგან ნებართვის მიღების აუცილებლობა და ნებართვის გაცების გამომრიცხველი გარემოებები;
- პატენტუნარიანობასთან დაკავშირებული საკითხები და შესაძლო გამონაკლისები;
- გამომგონებლის და პატენტმფლობელის უფლებები;
- პატენტრწმუნებულის, როგორც განმცხადებლის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის შესახებ დებულებები. განისაზღვრა ასევე რომ არარეზიდენტი პირისთვის პატენტრწმუნებულის დანიშვნა იქნება სავალდებულო;
- განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებული პროცედურული და არსობრივი ასპექტები;

კანონპროექტის ამოქმედება დაგეგმილია გამოქვეყნებისთანავე. ის მუხლები კი რომლებიც შეეხება არარეზიდენტი პირებისათვის პატენტრწმუნებულის ინსტიტუტის წარმომადგენლობის სავალდებულო წესის შემოღებას, ამოქმედდება აღნიშნული სისტემის დანერგვისათვის საჭირო რიგი რეფორმების განხორციელების შემდეგ მაგრამ არაუგვიანეს 2025 წლის პირველ იანვრამდე.

ცვლილება „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ კანონში

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ კანონში დაგეგმილია ცვლილების შეტანა, რომლის მიხედვითაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (K2) ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით გასაცემი მოსაკრებლის გადახდის ვადა 2025 წლის 1 იანვრამდე გადაიწევს, ნაცვლად მოქმედი კანონმდებლობით განსზღვრული 2020 წლის 1 იანვრისა. აღნიშნული ცვლილების შესახებ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტის კომიტეტმა მეორე მოსმენით იმსჯელა.

ცვლილების მიღება მიზნად ისახავს იმ მოსაკრებლის გადამხდელებისთვის შეღავათის დაწესებას, რომლებმაც ისარგებლეს მოქმედ კანონში არსებული განაწილვადების უფლებით, რათა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უზრუნველეყოთ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის შესაბამისი პროცედურების განხორციელება და არ გადაიხადეს მოსაკრებელი, რის გამოც მათ მიმართ დადგა შესაბამისი პასუხისმგებლობები და დაიწყო სამართალწარმოების პროცესები სასამართლოში.

Contact information

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.